ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

შპს საქართველოს უნივერსიტეტსა და სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის

ქ. თბილისი **4 მარტი, 2022 წ.**

ერთის მხრივ, შპს საქართველოს უნივერსიტეტის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის (შემდგომში - ინსტიტუტი), **მანანა სანაძის** სახით, და მეორეს, მხრივ, სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), წარმოდგენილი დირექტორის **ზაალ აბაშიძის** სახით, ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა ორმხრივი დაინტერესებით, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობით, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგი პირობებით:

1. ზოგადი დებულებები

1.წინამდებარე მემორანდუმი არეგულირებს ურთიერთობებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.მხარეები აღიარებენ ცენტრში დაცული ძეგლების უნიკალურობას, მათ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ადგილს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში;

3.მხარეები აცნობიერებენ აღნიშნული ძეგლების კვლევის, დაცვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობას და აუცილებლობას;

4.მხარეები ითანამშრომლებენ ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით;

5.მხარეები ისწრაფვიან საქართველოში სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობისა და განვითარებისაკენ.;

6.მხარეები უზრუნველყოფენ კვლევითი შედეგების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში;

7.მხარეები თანამშრომლობისას ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

2. თანამშრომლობის მიზნები

წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის მიზნებია:

1.მხარეების კომპეტენციათა ფარგლებში სამეცნიერო კვლევებისათვის პირობების შექმნა და მათი შემდგომი წარმოება;

2.კვლევის საფუძველზე სასწავლო პროგრამებისა და რესურსების განვითარება;

3.უნივერსიტეტის დოქტორანტების უზრუნველყოფა სამეცნიერო თანახელმძღვანელობით;

4.სამეცნიერო-კვლევით/სასწავლო პროცესში სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტებისთვის სასწავლო პრაქტიკისა და სხვა სამეცნიერო რესურსების წვდომის უზრუნველყოფა შესაბამის მატერიალურ თუ ელექტრონულ ბაზებზე/მასალებზე;

5.საზოგადოებაში ცოდნის გავრცელება და ინფორმირება.

3. ურთიერთთანამშრომლობის საგანი

1.წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის საგანია:

ა) ერთობლივი პროექტების და სამეცნიერო კვლევების განხორციელება;

ბ) მხარეების სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გაცვლითი პუბლიკაციები;

გ) მხარეების მიერ სამეცნიერო-კვლევით გამოცემების მიწოდება ერთმანეთისთვის;

გ) ერთობლივი გამოფენების ორგანიზება;

დ) ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება;

ე) ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების მომზადება და განხორციელება;

ვ) შესაბამის სფეროებში სპეციალისტების გაცვლა სტაჟირების გავლის მიზნით.

2.მხარეები თანხმდებიან, რომ უნივერსიტეტი თავის აკადემიურ პერსონალზე, რომელიც სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნით დასაქმებულია ცენტრში ან დროებით მიწვეულია სხვადასხვა კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად, ასევე ტრეინიგნების ჩასატარებლად (რაც ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გულისხმობს ანაზღაურებადი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას), უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებირვი აქტებით ან/და შრომითი ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში განიხილავს აღნიშნულს.

3.მხარეები შეღავათიან ფასებში განახორციელებენ მათთან დაცული საარქივო და დოკუმენტური მასალის ერთმანეთისთვის გადაცემას.

4.ორივე მხარის საბიბლიოთეკო ფონდების გაზრდის მიზნით ერთმანეთისთვის მათ მიერ გამოცემული წიგნების და კრებულების უსასყიდლოდ მიწოდება.

5.ივანე ჯავახიშვილის თხუზულებათა სრული კრებულის გამოცემაზე მხარეების ერთობლივი მუშაობა.

4. სხვა დებულებანი

1.წინამდებარე მემორანდუმი არ იწვევს მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით ამ მემორანდუმის ძალაში შესვლამდე დადებული (არსებული) ორმხრივი აქტების (მემორანდუმი, შეთანხმება და სხვა) მოქმედების შეწყვეტას.

2.წინამდებარე მემორანდუმის დებულებებსა და მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით ამ მემორანდუმის ძალაში შესვლამდე დადებული (არსებული) ორმხივი აქტების (მემორანდუმი, შეთანხმება, და სხვ.) დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე მემორანდუმის დებულებები.

3.მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმის მოქმედების ვადის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის ინიციატორი მხარე 2 თვით ადრე წინასწარ წერილობით შეტყობინებს უგზავნის მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

4.წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

5.მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ქართველოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **მანანა სანაძე**	სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **ზაალ აბაშიძე**